პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 22 სექტემბერი 1978 წ. □ № 223 (17267) □ ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978



დიდი რთველი

„სამტრესტის“ ცნობებით, 21 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	20 სექტემბრის რიგი	მოკრეფილია რთველის დაწყებიდან	მოსავლიანობა (ცენტნერებით)
გურჯაანის	88.000	5.351	23.452	18,05
თელავის	61.200		447	14,7
ყვარლის	38.000	1.700	3.908	16,2
სიღნაღის	34.000	991	4.147	18,1
წითელწყაროს	25.100	1.145	6.385	19,0
ახმეტის	30.400	48	48	17,6
ლაგოდეხის	8.500	7	7	16,8
მარნეულის	19.000	370	2.360	13,9
გოლნისის	11.480	327	327	17,5
გარდაბნის	10.500	682	794	12,4
თერჯოლის	21.000	15	60	15,9

- 20 სექტემბერს მოიკრიფა 10.636 ტონა ყურძენი.
- სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 41.935 ტონა.

ამზანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ბაკოში

შეხვედრა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

21 სექტემბერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა აზერბაიჯანის კომპარტიისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოვიდნენ კ. უ. ჩერნენკო, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. მ. ფალინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევიჩი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს შეხვედნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ა. ხალილოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. ამხანაგმა გ. ა. ალიევმა დიდი სიყოფილება გამოთქვა ლ. ი. ბრეჟნევის ბაქოში ჩამოსვლის გამო. მან ილაპარაკა აზერბაიჯანის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის საქმეებზე, მიღწეულებზე, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა შეთე ხუთწლედის დაკანონებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

აზერბაიჯანელთა წარმატებანი, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ალიევმა, განუყოფლად არის დაკავშირებული იმ ყოველდღიურ ზრუნვასთან, კონკრეტულ დახმარებასთან, რომელსაც რესპუბლიკას უწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტი. ახლა მთელი აზერბაიჯანი იღწვის, რათა ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში შეასრულოს. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივები კისრულობენ დამატებითს სოციალისტურ ვალდებულებებს, რომელთა შესრულების მეოხებით რესპუბლიკა გაეა ახალ მოწინავე მიჯნებზე, ამაზე ლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას იმ ამოცანების შესაბამისად სკკპ XXV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით რომ არის დასახული.

თოვის გამოსვლაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მას შეხვედრა, რაც იგი უკანასკნელი იყო აზერბაიჯანში ამ რვა წლის წინათ, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა როგორც მთელი ქვეყნის, ისე რესპუბლიკის ცხოვრებაში. აზერბაიჯანისა და მისი დიდაქალაქის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კარგად გაისარჯნენ, დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ კომუნისტური მშენებლობის გზაზე, რასაც დამაჯერებლად მოწმობს აზერბაიჯანის სსრ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შედეგები. სწორედ ამ გარჯის აღიარებაა ქალაქ ბაქოს დაჯილდოებაც ლენინის ორდენით.

რესპუბლიკის წარმატებანი განუყოფელად არის დაკავშირებული იმ შეუპოვარ და მიზანდასახულ საქმიანობასთან, რომელსაც აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია, ცენტრალური კომიტეტის მიუერო, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ეწევიან იმისათვის, რომ ამაღლდეს ყველა მუშაკის პოლიტიკური შეგნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რა პოსტებსა და უბანზეც უნდა შრომობდნენ ისინი, განმტკიცდეს დისციპლინა და გაუმჯობესდეს შრომის ხარისხი. უდავოდ ბევრი რამ გაკეთდა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი, არის დიდი რეზერვები, რომელთა გამოყენება აზერბაიჯანელი კომუნისტების მოვალეობა და გალია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა ის ამოცანა, რომ საჭიროა უზრუნველყოფ უფრო ეფექტიანი მეურნეობრიობა, მიაღწიონ, რომ თითოეული დარგი და ყოველი საწარმო ასრულებდეს გეგმას ვადაზე, ყველა მაჩვენებლის მიხედვით, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების ზრდის, საქონლის ნომენკლატურისა და ხარისხის მიხედვით.

მიმდინარე ხუთწლედში სახელმწიფო აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის განვითარებას ფლიოწადში მილიარდნახევარ მანეთზე მეტს ახმარს. ეს გაცილებით მეტია მეცხრე ხუთწლედთან შედარებით. ბაქოს საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ქარხნის მშენებლობისა და სეიქსლოატაციოდ გადაცემის, ახალი ნავთობგადასამუშავებელი სიმძლავრეების, დიდი წყალსაცავების, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი ობიექტების ამოქმედების გამოცდილება მოწმობს, რომ გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა მშენებლობაში, მაგრამ მაინც, საერთოდ, აქ მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს. ლ. ი. ბრეჟნევმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პარტორგანიზაციების კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ძირითადი ფონდების, მათ შორის, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ამოქმედების გეგმების რეალიზაცია, მიიღწიონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას.

შემდეგ ამხანაგმა ბრეჟნევმა ილაპარაკა დიდ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაწყდეს ამ ერეკილ პროგრამასთან დაკავშირებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა რომ მიიღო ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად სოფლის მეურნეობის გადაქცევის მიზნით. უკლებლივ ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციას, მთელ ჩვენს კადრებს ყოველდღიური შეუპოვარი და მეჯოთი მუშაობა მართებთ, რათა ხორცი შეესხან პარტიის აგრარულ პოლიტიკას.

შეეხო რა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის განვითარებას, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ მიღწეულებთან ერთად ჯერ კიდევ არის ჩამორჩენა მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით, განსაკუთრებით, მეცხოველეობაში. მან რესპუბლიკის მუშაკებს ურჩია უფრო მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ პრობლემის გადაჭრის საქმეს, რადგან მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობებში განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფრო მეტი მზრუნველობა მართებთ ბუნების დაცვისათვის, კასპიის ზღვის აუზის სიწმინდის უზრუნველყოფისათვის. ამის თაობაზე ბევრი კარგი გადაწყვეტილებაა მიღებული. მაგრამ, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ყველა როდი სრულდება ისე, როგორც ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის არის საჭირო.

სულ ორი წელი დასჭირდათ მშენებლებსა და მემონტაჟეებს, რომლებსაც ბევრი მოკავშირე რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ათობით ნაგებობის მშრომელები ეხმარებოდნენ, რომ ტანიალ მინდორში აეშენებინათ ქარხანა, რომელიც ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა.

ყველა კონდიციონერს, რომლებიც მთავარი კონვეიერიდან გამოდიოდა, სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს.

დღეს საწარმოს კოლექტივი გულითადად შეხვდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. მასთან ერთად ქარხანაში მოვიდნენ ამხანაგები ა. ა. ალიევი, კ. უ. ჩერნენკო, რესპუბლიკისა და ქალაქ ბაქოს ხელმძღვანელები.

საწარმოს გენერალური დირექტორი ს. ს. ახუნდოვი მიესალმა ლეონიდ ილიას ძეს და გულითადად მოახსენა იმისათვის, რომ დღეგანადგ ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე.

საწარმოს მუშაობა ხაფუძვლიანად გაამუქა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა. მან თქვა, რომ აქ ახლა გამოდის ორნაირი ხელოვნური კლიმატის აპარატი. ცოტა ხნის წინ კონვეიერიდან მეოთხასითასე კონდიციონერი გადმოვიდა. ხუთწლედის დამთავრებიდან საკავშირო ორგანიზაციებში გაგზავნა 1700-ზე მეტი ზეგეგმითი აპარატი, ქარხანაში შექმნილია საკონსტრუქტორო ბიერო, რომლის კოლექტივმა რამდენიმე ახალი მოდელის კონდიციონერები შეიმუშავა.

მინისტრმა და ქარხნის დირექტორმა გამოთქვეს მთელი რიგი მოსაზრებები საწარმოს შემდგომი განვითარებისა და მისი საწარმოო პროგრამის გაფართოების შესახებ. ამავე დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ელექტროტექნიკის დარგის პერსპექტივების შესახებ, კერძოდ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნავთობისა და კომბინირებული საკვების მოწყვლელობისათვის საჭირო ელექტროძრავების მთელ რიგ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა შექმნის შესახებ.

მარტო საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ქარხანა როდია ახალგაზრდა, ახალგაზრდები არიან ისინიც, ვინც მის საამქროებში მუშაობს. საწარმოს მუშაკთა საუფლო ასაკი 26-27 წელია. ყოველი მესამე მომუშავე კომუნისტური შრომის დაკვრელია.

ლეონიდ ილიას ძემ დაათვალიერა ქარხნის მთავარი კორპუსი, ტექნოლოგიური ხაზები, გამოიკითხა, როგორია საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა, ისათი შრომისა და დასვენების პირობები, ვინც აქ მუშაობს.

პლასტმასების საამქროში ლ. ი. ბრეჟნევს მიესალმა ამწყობი ზინაკა სამორა მამედოვა — ქალაქ ბაქოს ნარიმანოვის რაიასბჭოს დეპუტატი. ახალგაზრდა მუშამ. უამბო, როგორ მოვიდა საწარმოში 1975 წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ამ დროის მანძილზე იგი თვითონაც დაკვრელურად შრომობდა და პროფესია შეასწავლა 11 ქალიშვილს, რომლებსაც ახლა მუშის თანრიგი აქვთ მინიჭებული.

— თქვენი დაუცხრომელი მამობრივი ზრუნვის პასუხად, ლეონიდ ილიას ძეს, — თქვა ს. მამედოვამ, — სიტყვას გაძლევთ, ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთ, ვადამდე შევასრულოთ სოციალისტური ვალდებულებანი.

კონდიციონერების საამქროში საამქროში სტუმარს მიმართა ოსტატმა ტ. ფ. ფარაჯევმა. — ახალგაზრდა წარმოების ხელმძღვანელმა თქვა, რომ იგი, ისევე როგორც საწარმოს ყველა მშრომელი, მოხარულია შეხვდეს ლ. ი. ბრეჟნევს ამ შესანიშნავ საამქროებში, სადაც შექმნილია სასიცოცხლო ბინა ადამიანისა. ეს ბინა ბევრ ადგილზე ბინადარ ადამიანებს ეზარებოდ

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

რაც გვაღონებს და გვაფიქრებს

კომუნისტი ქმბობს სიტყვას...

მეტად მცირერიცხოვანია „თბილწყალკანალიზაციის ბეტონისა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია — სულ 7 კომუნისტს აერთიანებს. მაგრამ ამ დღეებში აქ გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გულახდილად ითქვა, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მას, კომუნისტებს, რომ ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონათ, უფრო ეფექტიანი, ინიციატივიანი მუშაობისათვის გაეყოლიებინათ უპარტიო ამხანაგები, შრომითი კოლექტივის ყველა წევრი.

სწორედ ამ მისწრაფებას გამოხატავს კრების მონაწილე კომუნისტის, საწარმოს დირექტორის ნ. ბადილიას სიტყვა, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

ლევანდელი კრების მონაწილეებს კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საწარმო ერთადერთია ქალაქში, რომელიც „თბილწყალკანალიზაციის“ სამმართველოსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ამზადებს მიწისქვეშა კომუნიკაციების რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი ნაწარმის რაოდენობასა და ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული ქალაქის მოსახლეობის მომსახურება. მათ შორის წყლით მომარაგების გაუმჯობესების საქმე, კანალიზაციისა და სანიაღვრე კოლექტორების ნორმალური მუშაობა.

ახლა, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას ვაჯამებთ და ვაფასებთ, ამაყოფილებით ვამბობთ, რომ მისი მეთაურობით ჩვენს ასაკიან კოლექტივს შეგნებული აქვს ამ პასუხისგებ ამოცანათა სერიოზულობა. სწორედ კოლექტივის მოდუმებისა და გარჯის ნაყოფია, რომ საერთო გეგმა გადაჭარბებით — 104 პროცენტით არის შესრულებული, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ციფრების მიღმა გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ერთ-ერთი კი ის არის, რომ ვერ შევასრულეთ დაგალებანი რმენტ-ლატების მიხედვით, კერძოდ, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოშვებაში ჩამოვრჩით.

ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს — წლის დასაწყისში დაშვებული გეგმებზე არ მოგვიცის მესაბამისი რაოდენობის ძირითადი მასალები — არმატურის ლითონი და ცემენტი, რომელთა ნაკლებობა მწვავეი იგრძნობოდა მთელი წლის განმავლობაში. ეს ძალზე აფერხებდა ჩვენს მუშაობას და ვვაიძულებდა მოგეხსენებინა გეგმების კორექტირება — კვარტალიდან კვარტალში გადავიტანდა, რაც არანორმალური მუშაობის (იერარშობანას) პირობებს ქმნიდა. ამას დაემატა ისიც, რომ რუსთავის ცემენტის ქარხანა ვერ გვიწევდის ფონდირებულ მასალებს, დაგვაკლო 500 ტონა ცემენტი. უფრო მეტიც, სულ ახლახან გამოირკვა, რომ მან სრულიად შეგვიწყვიტა ცემენტის მოწოდება. რატომ თქვა უარი რუსთავის საწარმომ თავის ვალდებულებაზე?

ჩვენი მოთხოვნის თანახმად, ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მეოთხე კვარტალისათვის გამოგვიყო გარკვეული რაოდენობის ცემენტი და ლითონი, ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ რუსთავის ქარხანა თუ კვლავაც უყურადღებოდ დაგვტოვებს, მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და ვერ შეავსრულებთ სახელმწიფო დავალებას, რაც გავლენას იქონიებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესების საქმეზე.

ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ სამართლიანი პრეტენზიები გვაქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზატორული სამმართველოს მისამართით. მათ ააგეს ჩვენი ქარხნის შენობა, მაგრამ ბევრი რამ გასაკეთებელი და მოუგვარებელი დაგვიტოვეს. მაგალითად, დაუმთავრებელია არმატურის საამქრო, მისი მუშათა კოლექტივი თავშეთარებელია დროებით ნაგებობაში, ეს ძალზე გავლენს ხელს ეფექტიან შრომაში. სამმართველო ვალდებულია უახლოეს ხანში დაამთავროს დარჩენილი სამუშაოები. მაგრამ ალბილი ტემპით და შენებლობა ოპანუხანმგებლობა ვიაჩვენებს. რომ ვალდებულება შეასრულონ. ნუთუ მათ პასუხი არავინ არ ითხოვა აგებინოს უხარისხო მუშაობისათვის?

მაგრამ სხვას რომ საყვედურს ვეუბნებით. სამეთაურ თავს მეტი უნდა მოთხოვოს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვვაქვს ისეთი ნაკლოვანებანი, რომლებიც ადგილზე ჩვენგან უნდა გამოგვასწორებინა. გაუმჯობესებას მოითხოვს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია მეტს უნდა ზრუნავდეს თითოეულის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რაც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან. რა დასამალია, გვაქვს უხარისხო პროდუქციის გამომშვების შემთხვევებიც. მაგალითად, ამას წინათ დაბალი ხარისხის პროდუქცია დაამზადა ბრიგადირ რ. მირუაშვილის უბნის კოლექტივმა. ეს ფაქტი პარტიულ ორგანიზაციას მსჯელობის საგნად არ გაუხდია.

საერთოდ, ჩვენ, კომუნისტები, სათანადოდ არ ვმუშაობთ მუშათა კოლექტივთან, კერძოდ ახალგაზრდობასთან, კომკავშირელებთან, ამას თუნდაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ორი ახალგაზრდა მიეიღეთ სკკპ წევრობის კანდიდატად, ეს მაშინ, როცა ორგანიზაციის ზრდის პერსპექტივა დიდი აქვს. ჩვენ კვლავაც უნდა ვიზრუნოთ პარტიული ორგანიზაციის ზრდისათვის, რა თქმა უნდა, მოწინავეთა ხარჯზე, კოლექტივზე მისი გავლენის გაძლიერებისათვის. ჩვენ გვყავანან კომუნისტები — ინჟინერი ს. წიქარიშვილი და ზეინკალი ი. დიდბერაშვილი, რომელთა შრომისა და ცხოვრების მაგალითზე უნდა ვზრდიდეთ საწარმოს ახალგაზრდებს.

აქ ითქვა და მეც ვიმეორებ, რომ გაუმჯობესებას მოითხოვს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაც, უფრო სრულად და ეფექტიანად უნდა ვიყენებდეთ მორალური და მატერიალური წახალისების ფორმებს. პარტიული ორგანიზაციაც მეტს უნდა მუშაობდეს აგრეთვე დისციპლინის განმტკიცებისათვის, კოლექტივის თითოეული წევრის პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გვაქვს დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, მექანიზატორი პ. კულინიჩოვი და ფ. კავუნი ზოგჯერ შეზარხოშებულნი ეხადიდებიან სამუშაოზე. და, ბოლოს, ისევ „ყველაზე მტკივნეული საკითხზე: ჩვენ გადაულებლად გვჭირდება ზემდგომი ორგანოების დახმარება, რომ საშენი მასალებითა და ნედლეულით საწარმო რიტმულად მარაგდებოდეს.

ნ. ბადილია,
„თბილწყალკანალიზაციის“ ბეტონისა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი.

ოგბილისი მასპინძლობს

მეგობრული საუბარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ 21 სექტემბერს მიიღო „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის დელეგაცია მისი პრეზიდენტის ფილტერ ბერენდტის მეთაურობით, დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა იმასთან დაკავშირებით, რომ აქ გაიხსნა გამოფენა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“.

ვ. ბერენდტთან ერთად იყვნენ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ფიზელა ნორკუსი, სრულიუფლებიანი მინისტრი — სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს დესპანი ჰერდ ბერენდონკი.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის დელეგაცია მისი პრეზიდენტის ვ. ბერენდტის მეთაურობით ეწვია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს. აქ იგი ესაუბრა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ს. ტ. რიგვავას.

დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე, საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ციღანტი.

* * *

იმავე დღეს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის დელეგაცია მისი პრეზიდენტის ვ. ბერენდტის მეთაურობით ეწვია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს. აქ იგი ესაუბრა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ს. ტ. რიგვავას.

დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. (საქინფორმი).

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა — საქმისმწარმოებელი

20 სექტემბერს თბილისში **გაიხსნა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელზეც განიხილავენ საქმისწარმოების უნიფიკაციის საკითხებს.** თათბირ-სემინარი მოაწყეს სსრ კავშირის სახსტანდარტმა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთავრობა საარქივო სამმართველოებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის ტექნიკის სახლმა. სემინარში მონაწილეობენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, საგანმანათლებლო ცენტრებისა და ორგანიზაციების საქმისწარმოების დარგის სპეციალისტები.

სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

— პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მართვის ავტომატიზებული სისტემების ეფექტიანობის ამაღლებას, საქმისწარმოების რაციონალიზაციას, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შემდგომი ზრდის ერთ-ერთი საფეხელი — სამმართველო შრომის, — ორგანიზაციის გაუმჯობესებას, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა კავშირის დოკუმენტალისტებისა და საარქივო საქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგემ ა. ალასანიამ. — ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია და პრაქტიკაში ინერგება 13 საერთო-საკავშირო უნიფიცირებული დოკუმენტაციის წარმოების სისტემა. თათბირზე სპეციალისტები ერთმანეთს გაუზიარებენ ასეთ სისტემათა შექმნისა და საწარმოებში, სამინისტროებსა და უწყებებში, სამეცნიერო ცენტრებში დანერგვის გამოცდილებას, იმსჯელებენ მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხებზე.

ლექციებისა და მოხსენებების ციკლში დაწერილებით გაეაცნებენ მონაწილეთა ცენტრებში ერთიანი საერთო-საკავშირო ნიმუშის დოკუმენტების შედგენა-შენახვის, ამგვარი დოკუმენტების შედგენის ენასა და სტილს, რომლებსაც ერგებ ამუშავებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა. (საქინფორმი).

დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი მარტინ ძური. იგი დაჯილდოებულია მეორე მსოფლიო ომის წლების ერთობლივ ბრძოლაში მხიდრული დამსახურებისათვის და ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუთჯლედის ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

პარტიული განათლების დიდი კერა

● პროპაგანდისტებს მასპინძლობს პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ახალი შენობა ● მთავრდება მზადება პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში

ჩვენი ინტერვიუ



მთავრდება მზადება პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის შეხვედრისათვის. ყველა რგოლში, პროპაგანდის მასობრივ ფორმებში მეცადინეობა დაიწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მასალების, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო სარბიელზე იდეოლოგიური ბრძოლის აქტუალური საკითხების შესწავლით.

ამჟამად დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი. რესპუბლიკის რვა ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, გორში, თელავში, ცხაკაიაში მოეწყო პროპაგანდისტთა ზონალური სემინარები.

სწორედ ამ საკითხებზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე ნ. კომახიძე.

— მომავალი სასწავლო წელი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების მასობრივი შესწავლის წელი იქნება, — თქვა ნ. კომახიძემ. — უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის მიერ ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის შესწავლა. ამ მიზნით რესპუბლიკურმა სახლმა უკვე დიდი მუშაობა გასწია. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საცხოვრებელ ადგილას დამატებით იქმნება სკოლები და წრეები, ლექტორიუმები, რომლებშიც ემზადებიან უპარტიო ამხანაგები, ახალგაზრდობა.

პარტია მუდამდღე ზრუნავს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ფორმად გამლესილი და მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის. რესპუბლიკაში მეცნიერული კომუნიზმის თეორიას, სკკპ ისტორიულ გამოცდილებას, პარტიის ეკონომიკურ თეორიას და პრაქტიკას 700 ათასკაცი ეუფლება. მათი მაღალი ცხოვრებისეული პოზიცია, მჯელარი ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნა იმის გარანტიაა, რომ რაც შეიძლება მეტი იქნება მათი წვლილი ხუთწლედის ამოცანების შესრულებაში.

სკკპ XXV ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუცხრომლად უნდა იზრუნონ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების პარტიკულ კოეფიციენტის ზრდისათვის, ნისი ეფექტიანობის, უკეგების ასამაღლებლად, თეორიის პრაქტიკასთან განსამტკიცებლად.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა უკანასკნელ ხანს ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწიეს, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ეხვდებით ფორმალიზმის ელემენტებს. ამ ნაკლოვანების წინააღმდეგ ბრძოლა, სწავლების თეორიისა და უკეგების ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნვა კი ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ახლახანს 200-ზე მეტი პროპაგანდისტი ეწვია ჩვენს ახალ შენობას. ისინი სემინარზე ჩამოვიდნენ და ნაბლად იგრძნეს ის დიდი ზრუნვა, რომელსაც პარტია იჩენს იდეოლოგიური მუშაკებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ახალ შენობაში ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა და შესწავლის ამ ჩინებულ კერას 5.000-ზე მეტი კვალიფიცირებული მეტი ფართობი

უპირველს. თანამედროვე სტალინთ ნაგებ შენობაში განლაგებულია სამი საკაქტო და სალექციო დარბაზები, რომლებიც ათასზე მეტ ადამიანს იტევს, მოწყობილია პროპაგანდის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტი, მუშაკთა განკარგულებაშია ეროვნული ბიბლიოთეკა 50 ათასი წიგნის ფონდით, მუშაობს 10 მეთოდიკური კაბინეტი.

ნავარაუდევია, რომ უახლოეს ხანში ჩვენი ახალი შენობა უმასპინძლებს რესპუბლიკის პროპაგანდისტების შეკრებებს ანდ-ლექციებს. 1200-მდე იდეოლოგიური დარგის მუშაკი საქმიან მსჯელობას გამართავს იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“. ამ წიგნში განაზოგადებულია პარტიის მთავარი ამოცანები მასების კომუნისტურ აღზრდაში, ზუსტად არის ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური საქმიანობის მთავარი მიმართულებანი.

ჩვენი მთავარი მიზანი ის არის, რომ რესპუბლიკის პროპაგანდისტთა მრავალრიცხოვანი არმიის სიტყვა და საქმე ეთანხმოს.

* * *

სურათებზე: სემინარის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან) რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტნინის საამქროს ოსტატი თ. ჯაჯანიშვილი, ასპინძის რაიონის სოფელ ოთას სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ნ. გიგაშვილი, დუშეთის რაიონის არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი გ. ბურდული, ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომისტი ნ. ბერიანიძე, ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობის სკოლის დირექტორი ნ. კობიაშვილი, ასპინძის რაიონის სოფელ ოთას სკოლის მასწავლებელი ც. ნეფსაძე, დმანისის რაიონის სოფელ დუნეფის სკოლის დირექტორი კ. მუსაევი; ქვემოთ — პოლიტიკური განათლების სახლის ახალი შენობა პლებანოვის პროსპექტზე.

ს. კილაძის ფოტო.

„ლენინსკოე ზნამია“ 60 წლისაა

მეოთხართა მეგობარი და მრჩეველი

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი შრომითი სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიის“ 60 წელი შეუსრულდა. დიდი და სახელოვანი გზა განვლო მან ამ წლების განმავლობაში. ცხრასთვრამეტის შემოდგომაზე, დამშეული და ცივ ასტრახანში, რომელიც ალყამომარტყმული იყო თეთრგვარდიელთა ურდოებით, „გამოვიდა „კრასნი ვოინის“ (მაშინ ასე ეწოდებოდა „ლენინსკოე ზნამიის“) პირველი ნომერი.

„კრასნი ვოინის“, მაშინ ასტრახანის სამხედრო საბჭოს და ხაგუბერნიო სამხედრო კომისარიატის ორგანოს ორგანიზატორი და შთამაგონებელი იყო მგზნებარე ბოლშევიკი, პარტიის ტრიბუნი და საყვარელი კაცი სერგო მირონის ძე კიროვი. თუმცა ძალიან მოუცლელი იყო, უამრავი საქმე აქონდა ასტრახანის ოლქისთან დაკავშირებით, მაინც პოულობდა იგი დროს, რომ შეხვედროდა რედაქციის მუშაკებს, ოპაზარებოდა რჩევითა და საქმით.

თეთრები უკუაგდეს ქალაქიდან, გაანადგურეს კასპიისპირა ველებში. ასტრახანი სამუდამოდ საბჭოთა დარჩა. და ამ გამარჯვებაშიც იყო „კრასნი ვოინის“ პირველ სამხედრო ეკონალისტების წვლილი, რომელებსაც პროფესიონალი რევოლუციონერი, ყოფილი ამწყობი იოსებ ლაზიანი ხელმძღვანელობდა.

1919 წლის აპრილიდან გაზეთი მეთერთმეტე ცალკეული არმიისა და კასპიის ფლოტილიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ორგანო ხდება. ამიტომ, როცა 1920 წლის დამდეგს არმიამ თავიდან ბოლო ისტორიული ლაშქრობა, რათა დახმარებოდა ჩრდილეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, გაზეთი მის საბრძოლო რიგებში იყო.

ასტრახან-პიატიგორსკ-მ ა ხ ა ჩ ყალა-ბაქო-თბილისი — ასეთი გზა განვლო გაზეთმა არმიის ნაწილებთან ერთად. რედაქცია და მისი აპარატი ადგილიდან ადგილზე ხან კარეტაში, ხან ფორნით, ხან ავტომობილით გადადიოდა. იყო შემთხვევები, რომ კასპიისპირა უდაბნოებში აქლემები იეტმოდნენ, შრიფტი ფიანტებოდა ქვიშაში, და დაჩოქილი თანამშრომლები საათობით აგროვებდნენ მას. ზოგჯერ არ ჰქონდათ ქაღალდი, არ ჰყოფნიდათ სალებავი. გაზეთი კი მაინც გამოდიოდა. ეს იყო საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში.

აღელვებულად ვერ წაიკითხავ არმიისადმი ბრძანებას, რომელსაც ხელს აწერდა არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. გ. კ. ორჯონიკიძე. ამ ბრძანებაში შეჯამებული იყო სამოქალაქო ომის პერიოდში „კრასნი ვოინის“ საქმიანობის შედეგები: „ასტრახანის ველებში და ჭალარა კავკასიონის მწვეტვალებზე, გენბასა და ზაგეზურში, თბილისთან და სურამის უღელტეხილზე — ყველგან და ყოველთვის „კრასნი ვოინი“ გვერდში ედგა მებრძოლს გამარჯვებისათვის თავისი მოწოდებით, საბოლოო წარმატების რაინის რწმენას უნერგავდა მას“.

შემდეგ კი იყო ძნელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასიხარულო აღმშენებლობითი შრომის წლები. ქვეყანამ ძალები დაძაბა, რომ თავი დააღწია ნგრევისა და ჩამორჩენის მარწყეტიდან, ჩაეყარა საძირკველი სოციალიზმისათვის ქალაქში, სოფელში, არმიაში, და ქვე-ნის ცხოვრების მჩქეფარება და მძაფარი რიტმი იგრძნობოდა კავკასიის წითელდროშოვანი ცალკეული არმიის გაზეთის ფურცლებზეც.

გაზეთის ისტორიაში გაისაკუთრებული, თუმცა ხანმოკლე პერიოდი იყო, როცა მას რედაქტორობდა დიმიტრი ფურმანოვი — შესანიშნავი ჩაპაეველი კომისარი, მოგვიანებით კი ცნობილი საბჭოთა მწერალი. დიდხანს არ ფარჩენილი იგი კოლექტივში, მაგრამ ისეთი კვალი დატოვა, რომ დღემდე არ წაშლილა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი რედაქციაში ჟურნალისტური მუშაობისადმი, გაზეთის პროფესიის ხარისხისადმი მაღალი მომთხოვნელობის, სამხედრო კორესპონდენტების წერილებისადმი ფულისმიერ, ყურადღებიანი დამოკიდებულების ტრადიციას.

ჩვენი გაზეთის ისტორიის ბრწყინვალე და სამახსოვრო ფურცლები იწერებოდა სამშობლოს უმძიმესი განსაცდელის ჟამს — დიდი სამამულო ომის წლებში, კავკასიისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი ბრძოლის პერიოდში, წარდნენ ამიერკავკასიის და მთელი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ენაზე, და არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან გაზეთი მაშინ გამოდიოდა ოთხ ენაზე — რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მისი მგზნებარე მოწოდებანი, რომ საკადრისი პასუხი გაეცათ მტრისათვის, გაენადგურებინათ ფაშისტური ურჩხული, რომელმაც ხელყო სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ესმოდათ ამიერკავკასიის ფრონტის მეომრებს, რომლებიც მაიკოპთან და ნოვოროსისკთან, მოზდოკთან და კავკასიონის უღელტეხილებზე იბრძოდნენ.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა მეცირემეწლეთა მე-18 არმიის მეომართა გმირულ საქმეებს, არმიისა, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა დამცველთა მეომრებს. ამიტომაც იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აღნიშნა რა გაზეთის დამსახურება კავკასიონის მოისწენთში ჰიტლერელთა განადგურებისათვის მებრძოლთა დარაზმვაში, ორონტის პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ აღზრდაში, 1943 წლის სექტემბერში იგი წოდელ ბარსკვლავის საბრძოლო ორდენით დაჯილდოდა.

ეს საპატიო ჯილდო მაშინ თავისი შრომით დაიმსახურა ოთხივე რედაქციის თითოეულმა ჟურნალისტმა, თითოეულმა პოლიგრაფისტმა, რომლებიც დღე-დაღამ დაზგებთან და მანქანებთან იდგნენ. მაგრამ განსაკუთრებული წვლილი ამათ შეიტანეს, ვინც თავისი გამოსვლებით აპყრობდა მკითხველთა ყურადღებას, გულში სწვდებოდა მათ, სახელს უხვევდა გაზეთს. ესენი არიან ცნობილი მწერლები და პოეტები — ირაკლი ანდრონიკაშვილი, ვიტალი ბაკურაძეანი, სიმონ ბაბაევსკი, ვანო დარასელი, ალექსანდრე პოპოვი, გურგენ ბორო

საერთაშორისო მოვლენა

რეკომენდებულია დღის წესრიგი

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (ხაკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 33-ე სესიისა შეუდგა მუშაობის ორგანიზაციულ ეტაპს.

გუშინ დაიწყო გენერალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც ასამბლეას რჩევა მისცა. დღემწყებინა მიმდინარე სესიის დღის წესრიგი. მასში შეტანილია 132 საკითხი, რომელთაგან უმთავრესნი დაკავშირებულია ხალხთა ბრძოლებისა და უშიშროების განმტკიცებას, დაძაბულობის შენელების პროცესის დამკვიდრებისა და შემდგომი გაღრმავების, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოების, განიარაღების ამოცანებთან.

მათ შორის არის საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებული „აქტუალური საკითხი „უბრძოლო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ". სსრ კავშირის წინადადებამ, რომელმაც უნდა დაიცვას უბრძოთა სახელმწიფოები მათ წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებისაგან და მიზნად ისახავს ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთას. — ბევრი ქვეყნის ელჩებისა და ვიცე-ელჩების ინიციატივებ, რომელთა მიზანია შეწყდეს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ახალ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის, მათ შორის ნეიტრონული ბომბის შექმნა, დაიდგას მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მოწვეულ იქნეს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

ის გარემოება, რომ დღის წესრიგში შეტანილია საკითხები ახლო აღმოსავლეთში, აფრიკის სამხრეთსა და კვიპროსში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ასახავს საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეშფოთებას მსოფლიოში დაძაბულობის კერების არსებობის გამო, მის მისწრაფებას იმისადმი, რომ შეიძლება მალე მოისპოს „ცხელი წერტილები", რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და საერთაშორისო უშიშროებას.

გულისწყრომით გმობენ

ჰანოი, 20 სექტემბერი. (საკ-დესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც გულისწყრომით გმობს ჩინეთის მხარეს იმის გამო, რომ განუწყვეტლივ არღვევს ვიეტნამის ტერიტორიულ მთლიანობას.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მხაოის შეიარაღებული ძალები განუწყვეტლივ იერიშობენ ვიეტნამის ტერიტორიაზე და არღვევენ მის საპაერო სივრცეს. 12 სექტემბერს ჩინეთის ორი რეაქციული ავიაგამანადგურებელი შეიჭრა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საპაერო სივრცეში „ოლონგის პროვინციაში. 14 და 15 სექტემბერს ჩინელ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფები რამდენჯერმე შეიჭრნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ოლონგის პროვინციაში, დაანგრიეს სასაზღვრო ობიექტები, ემუქრებოდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ და ანტივიეტნამურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ცხადზე უცხადესია, ნათქვამია განცხადებაში, რომ ჩინეთის ხელისუფალნი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პროტესტების მიუხედავად, განაგრძობენ ვიეტნამის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა ესკალაციას, საფრთხეს უქმნიან მის უშიშროებას სახაზღვრო რაიონებში და კიდევ უფრო მტაცა ამწვავებენ ვითარებას საზღვარზე.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხაზგასმულია განცხადებაში, გულისწყრომით გმობს ჩინეთის ხელისუფალთ შეიარაღებული პროვოკაციებისა და ვიეტნამის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის, რაც საფრთხეს მალე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროებას, და მოითხოვს დაუყოვნებლივ ამ ტერიტორიიდან ჩინელ ჯარისკაცთა გაყვანას.

ერთსულოვანი მოწონება

ჰანოი, 20 სექტემბერი. (საკ-დესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შესვლა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში და რატიფიკაცია უყო წესდებასა და კონვენციას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მართლუნარიანობის, პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ. ეს ნათქვამია კომუნიკეში მუდმივი კომიტეტის სესიის შესახებ, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

ეროვნული კრების მუდმივ კომიტეტს ერთხულოვნად მიაჩნია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შესვლა არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოახლოვებს, რომ კიდევ უფრო განვითარდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების ურთიერთობა და თანამშრომლობა ვიეტნამსა და ამ ორგანიზაციის წევრ სხვა ქვეყნებს შორის. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შესვლა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში, ხაზგასმულია კომუნიკეში, ახალ ხელშეწყობ პირობებს ქმნის ვიეტნამში სოციალიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა პავილიონების წარმატება

ვენა, 20 სექტემბერი. (საკდესის კორ.). აქ მიმდინარე ვენის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონს ექსპონატები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დიდი მოვლენა იყო პავილიონის დათვალიერება ავსტრიის პრეზიდენტის რ. ჯონსონგერის მიერ, რომელმაც მადალი შეფასება მისცა ამ წარმოდგენილ მანქანათმშენებლობის ნაწარმს, ზუსტ ხელსაწყოებსა და ავტომობილებს.

როგორც ყოველთვის, მე ძალიან მომეწონა საბჭოთა ექსპოზიცია, თქვა რ. ჯონსონგერმა პავილიონის დათვალიერების შემდეგ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. იგი მეტად მრავალფეროვანია.

მოიშალა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. რეჟიმის ჯარები ხელთ იგდებენ სასურსათო საწყობებს, მაღაზიებსა და დუქნებს. გავრცელდა მარაზერობა. ამასთან განსაკუთრებით გამოირჩევიან ამერიკელი დაქირავებულები, რომლებსაც „ვიეტნამის ომის გამოცდილება აქვთ".

კოსტა-რიკაში ჩავიდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის დელეგაცია, რათა გამოიკვლიოს სომოსას ჯარების მიერ ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის საზღვრების დარღვევის შემთხვევები. მუშაობის პირველსავე დღეს კომისიამ დადასტურა ეს ფაქტები.

მთელ მსოფლიოში იზრდება აღშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო, რომელიც დიქტატორ სომოსას ოგზავნის დიდძალ იარაღს, სამხედრო მრჩევლებსა და დაქირავებულებს და ამით იხმარება ჯანყებული ხალხისათვის ანგარიშის გასწორებაში.

ნიკარაგუას რევოლიუციური წრეების მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა წერილი გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კარტერს, რომელშიც გადაჭრით მოსთხოვეს შეწყვიტოს ჩარევა მათ ქვეყნის საშინაო საქმეებში. შეიწყვიტოს ყოველგვარი მხარდაჭერა სომოსას დიქტატურას. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ნათქვამია წერილში, საუბრობენ „ადამიანის უფლებათა დაცვის ათვის" იღწვის, სინამდვილეში კი მზად არის განაზორციელოს გენოციდის პოლიტიკა მთელი ხალხის წინააღმდეგ. რათა ხელისუფლების სათავეში შეინარჩუნოს თავისი მარიონეტები.

ჯარაკასი. ვენესუელის პრეზიდენტი კარლოს ანდრეს პერესი და კოსტარიკის პრეზიდენტი როდრიგო კორასო ოდიო, აგრეთვე პანამის მთავრობის მეთაური ომარ ტორიოსი შეუგზავნეს ერთმანეთს ვენესუელის „ლა-ორჩილის" სამხედრო-საპაერო ბაზაში. მათ განიხილეს ნიკარაგუას მდგომარეობა და აღნიშნული პრობლემის მიმართ ამ ქვეყნების მომავალი მოქმედების კოორდინაციის საკითხები.

როგორც შეხვედრის შემდეგ კარლოს ანდრეს პერესმა განაცხადა, ვენესუელა მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველ ღონისძიებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ნიკარაგუაში სისხლისღვრის შეწყვეტას. მთელ ვენესუელაში ფართოდ ფიქრობენ მებრძოლ ნიკარაგუელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა.

(საკდესი).

• • •

სურათზე: ჯონ ჰარისი.

ვის აძლევს ხელს?

რეპორტაჟი და წიაღსვლანი ერთი „მისიის" მისიის ჩაშლის შესახებ

ლ. ლეროვი

წიაღსვლა მეხუთე

ვადიმ შეგეღოვს არ უთქვამს, სახელდობრ ვინ ქაცვდა მხედველობაში. ქალაგი ალექსი პროკოფიევი, რომლის თაობაზეც მკითხველმა უკვე იცის ზოგიერთი რამ? თუ მეფეული დიმიტრი დუდკო, სხვადასხვა „რადიოხმის" რელიგიური პროგრამების „გმირი": „საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი", „რუსეთის პატრიოტი". ომის წლებში ეს „ძაბრიოტი" ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა და ქალაქ კლინცში ფაშისტურ გაზეთ „ნოვი პუტში" („ახალი გზა") თანამშრომლობდა. მისი გულისამრევი სტატიები ნაკარნახევი იყო ავტორის ძვალი, ღრმა მრწამსით. მრავალი წლის შემდეგ. იგი სწორედ ასე დაწერს: „მე მაქვს მონარქისტული მრწამსი, რომელიც მეფის ხელისუფლების დროინდელი ზოგიერთი ადამიანის გაელენით, აგრეთვე მონარქისტული ლიტერატურის კითხვის შედეგად ჩამო

გთავაზობთ აზერბაიჯანელი პოეტების ლექსებს

□ □

სულეიმან რუსთამი.

სოციალისტური შრომის გმირი, აზერბაიჯანის სახალხო პოეტი.

მოდით, ეწვიეთ აზერბაიჯანს

მოდით, ეწვიეთ აზერბაიჯანს
ჩემი მიწა-წყლის სახიუვარულოდ
დე მეგობრები მოზღვავდნენ გუნდად
ვისაც გსურთ ნახოთ ჩემი ქვეყანა,
აურაცხელნი რომ იყვნეთ თუმცაც, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!
არ მეგულება არსად სხვა მხარე,
ჩემი ძვირფასი სამშობლოს მსგავსი.
ვისაც გსურთ ნახოთ მშვენიერება,
გსურთ, რომ იცოდეთ სამოთხის ფასი, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

ცხმის ხიმღერა, გრგვინავს ხიმღერა,
მანგებში გული სიწრფელით ღელავს..
უველგან წკრიალებს ჩვენი ხიმღერა,
მომღერალია დღეს ჩვენში ყველა.
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

გადაიკრიალე, აბა, ხიმღერავ
გადაუკრიალე მალალ მწვრალებს..
თუ ტკბილ ხიმღერას მოსმენა გინდათ,
თუ გსურთ უსმინოთ მანგებს მღელვარეს, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

ჩამწკრივებული თეთრი სახლები,
თეთრი სახლები — ცად ატყორცნილი,
ყოველი სახლი გულჩაწნული,
ქარის ალერსით გადაკოცნილი.

ჩვენში სუყველა, დიდიც, პატარაც
სულით გმირია და მამაცი,
ვისაც გწადიათ თვალი ახაროთ,
ნახოთ თუ სადმე სილამაზეა, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

აქ ზამთარ-ზაფხულ ალალ გულებში
ხალხს გაზაფხული უყვავის ნაზი,
ხამშობლოს წინსვლას და გამარჯვებას
უგალობს მგოსნის ხაზსმა ხაზი.

ვუცქერ გოგონებს, ჭაბუკებს ვუცქერ,
ეს არის ლხენა ჩემი გულისა.
ვისაც კი გულით ნახავ გწადიათ
აყვავებული გაზაფხულისა, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

სხვაგან სად არის ხითბო ამდენი,
ხითბოს, სიკეთის გრძნობა ნეტარი,
ახეთ ხიმღლეს მთელ ქვეყანაზე
ვინ მიაღწია დღემდე ნეტავი!

თავს ალისფერი დროშა დაგვაქერის,
და შეგვასრულდა, რაც კი ვინატრეთ,
ვისაც გსურთ ნახოთ მხარე, რომელსაც
თავს დაფრქვევია დიდი ხინათლე, —
მოდით,
ეწვიეთ აზერბაიჯანს!

თარგმნა **ალექსანდრე ბეგაშვილმა**

თოფიქ ბაირამი

ჩვენი ქვეყნის საღღეგრძელო

მორის უოცხიშვილს

ამ მიწაზე ჯანის წამალს ეძებ? — ეშოვა.
თვით ზამთარში თავთავს დაზრდი, ხოსანს ეშოვა.
მოამღურებულს კაცსა ვინმეს ვერხად ეშოვა.
შენ ჩემხავით გულალალო,
ძმაო ქართველო!

ლალო, სუფრახვავიანო, ძმაო ქართველო!
მე ვიგემე პურ-მარილი შენი, ალალი,
ვნახე შენი დიდოფლისა სახე მწყაზარი...
მამა-პაპათ ერთგულება გულში გვინთია,
თქვენს რუსთაველ რომ მხარს უმშვენებს, სუმგაითი,
ვურლუნი და ლეონიძე — ძმობის ხიდია.
მეგობრობის წმინდა გრძნობას, ძმაო ქართველო,
იავნანის მანგი ლოცავს, ძმაო ქართველო!

თბილისია ჩვენი გული, ბაქოც გულია,
ხიყვარულით ერთნაირად დაცხრულია.
აზიზეკოვს, ჯაფარიძეს ვრთად უყლაოთ,
მათ კეთილულ გზა-კვალს მივყვეთ,
ძმაო ქართველო,
მათ აზრებს და თამამ ფიქრებს,
ძმაო ქართველო!

შენ — ჩინგურით, მე კი ხაზით შეეძრითა ქვეყანა,
ძმობის სიტყვამ და ხიმღერამ ერთად შეგვეყარა,
კავკასიონს ვიგულებდეთ ერთგული ბეჭითარად,
ჩვენ მომავლის გვწამს და გვჯერა, ძმაო ქართველო,
ჩვენ ერთი გვაქვს აზრი, რწმენა,
ძმაო ქართველო!

შენს დიდ ზეიმს მეც ვზეიმობ და ვარ მოვალე,
შენი ერის დღე ნათელი აღმაფრთოვანებს,
ტარიელის გული გიცემს მკერდში მორთოლეარედ,
მე ბაბეკის სუნთქვა დამაქვს,
ძმაო ქართველო,
და ჩვენს გულებს ერთი ხმა აქვს,
ძმაო ქართველო!

შენი დროშა ოქროსავით ბრწყინავს, ელვარებს,
შენი ქვეყნის ზეიმია, დღეა მღელვარე,
შენი მიწა რუსთაველით ახცდა მწყერალებს,
ვეხუტები შენს ძველ ლოდებს,
ძმაო ქართველო,
მიხმე შენს ძმას, გკერდის ოდეს,
ძმაო ქართველო!

თარგმნა **ლეილა ერაძემ.**

პოეტის ასი სიმღერა

მეტეხის უბანში ვოკალურ-ინსტრუმენტული ansamblის „ორერას“ ბაკონცერტი პროგრამაში შესრულდა ორი ახალი სიმღერა „სუფსარქისა“ და „ზუხამბაზი“, რომლებიც კომპოზიტორებმა ვაჟა აზარაშვილმა და გიორგი ცაბაძემ დაწერეს დოდო გვეშიანის ლექსებზე. დოდო გვეშიანის ლექსებს „ბედი აქვთ“ — უკვე ასმა მაგანმა შთაგონა ქართველი კომპოზიტორები სიმღერების დასაწერად. ეს სიმღერები ხშირად სრულდება რადიოთი, ტელევიზიით, კონცერტებზე,

განათლებით დოდო გვეშიანი ლინგვისტი ფილოლოგია.

— როგორ გახდათ სიმღერების პოეტი?

ერთხელ კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია დოდოს ეუტუბრა, მისი ლექსების რვეული შეაჩვენა, გადაიკითხა, მერე კი შესთავაზა, რამდენიმე ლექსზე მუსიკას დაგიწერო.

— მართლაც ძალზე სასიხარულოა მოისმინო სიმღერა, რომელიც შენს ლექსზეა დაწერილი, — თქვა დოდომ. — ახლა მე ნუნუ გაბუნიასთან ერთად ვაბადებ ცოცხალ ჩვენს სიმღერებს. ახალგაზრდობაზე, მის სიყვარულზე სამშობლოსადმი.

(საქინფორმი)

საგასტროლო დღიური

ქუთაისელთა სპექტაკლებზე

გუშინ ქუთაისის ლ. მეხუბიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დედაქალაქის მაყურებელს უჩვენა დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“.

ინსცენირების ავტორია ხ. ჭეიშვილი, დამდგმელი რეჟისორი შ. კოპაძე, მხატვარი — ჯ. ჭეიშვილი, მუსიკალურად გაფორმა — ბ. ბუხაიძემ.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ მ. ჩიქოვანი, ნ. ხალარაძე, ა. ხერხაძე, დ. დვალიშვილი, თ. ღვინიაშვილი და სხვები.

მაყურებელი ინტერესით შეხვდა სპექტაკლს, დიდი მწერლის გმირებს.

გამოფენა თბილისში

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთი თვალის გადავლებით“

21 სექტემბერს საქართველოს სახელგაგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სასლში გაიხსნა გამოფენა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთი თვალის გადავლებით“.

გამოფენის გახსნაზე იყვნენ თბილისელ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აქვე იყო „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. ბერენდონკი მეთაურობით.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა მინისტრმა, საელჩოს დესპანმა სსრ კავშირში გ. ბერენდონკმა და „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. ბერენდტმა აღნიშნეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონტაქტები საბჭოთა კავშირთან სულ უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ხდება, ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ ნაყოფიერია ამ ფაქტორის გავლენა პოლიტიკურ ურთიერთობაზე.

გამოფენის ექსპონატები დამთვალიერებლებს აცნობს ქვეყნის ცხოვრებას, ასახავს იმ პოზიტიურ ძვრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ფერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამაყწინანდელი ვიზიტის შემდეგ.

„თბილისის მოედანი“ საარბრუკენში

საარბრუკენი, 21 სექტემბერი. (საკდეხის კორ.). ამიერდან თბილისის მოედანი ერქმევი დასავლეთ გერმანიის საარის მხარის მთავარი ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს. საარბრუკენის ნაქალაქო თეატრის წინ მდებარე მოედნისათვის ახალი სახელწოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიაზე მონაწილეობდა საქართველოს სსრ დედაქალაქის დელეგაცია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბ. თ. ლობჟანიძის მეთაურობით.

„ამ რამდენიმე დღის წინ ხელმოწერილი შეთანხმება ჩვენი ქალაქის, თბილისისა და საფრანგეთის ქალაქ ნანტის პარტნიორობის შესახებ განუმეორებელი დოკუმენტია, რომელიც გვისახავს სხვადასხვა დარგებში სამმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს“, — განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას საარბრუკენის ობერბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტენმა.

„ამიერიდან საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა თავანთი კუთხე ექნებათ საარბრუკენში. ეს კანონზომიერი შედეგია ჩვენი ურთიერთობისა, რომელიც სამი წლის წინ დავამყარეთ“, — ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში ბ. თ. ლობჟანიძემ.

თბილისისა და საარბრუკენის პარტნიორობა დაიწყო და ვითარდება უწინარეს ყოვლისა კულტურული და ტურისტული გაცვლის დარგში. შეეხო რა ორი ქალაქის ურთიერთობას, საქალაქო თეატრის დირექტორმა ბ. ფუნტერ პენცოლმა აღნიშნა: ჩვენი კოლექტივი ამაყობს, რომ უშუალოდ მონაწილეობდა საარბრუკენ-თბილისის „მეგობრობის ხიდის“ გადებაში, იმაში, რომ ქართულ ხელოვნებე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკადან ჩასული რეჟისორები დგამენ გერმანულ კლასიკას, ხოლო საარბრუკენელი მაყურებელი ეცნობა ქართულ ხალხურ ხელოვნებას.

ა. **გრიგორიევი.**

იტალიელი მშვიდობის მომხრენი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა იტალიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია, რომელიც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

დელეგაციას მეთაურობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცეპრეზიდენტი ა. ტერენეი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან იტალიის პარლამენტის დეპუტატი ჯ. ბერტოლდი, სენატორი ნ. პასტი, რომის უნივერსიტეტის პროფესორები ა. ჯულიანო და ნ. პოხენტი.

გაიმართა სტუმრების შეხვედრა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური „ფონდის“ აქტივისტებთან. კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი ი. ნონეშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, რომ საბჭოთა ამაყობენ საგარეო პოლიტიკის დარგში თავიანთი საამშობლოს წარმატებებით, მისი საერთაშორისო აგტორიტეტი ს განუხრელი ზრდით.

— გულითადობა და პატივისცემა, რომლითაც ჩვენს დელეგაციას ხვდებიან საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში, თითოეულ ჩვენთაგანს მიიჩნია მშვიდობისადმი, ხალხთა მეგობრობისადმი საბჭოთა ადამიანების მისწრაფების ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებად, თქვა ი. ტერენციმ.

იტალიელი სტუმრები ეცნობიან საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

(საქინფორმი).



ბასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის მეცხოველეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას ტონს აძლევს ახალგაზრდობა, მოწინავე მწველავებს შორის ასახელებენ კომკავშირელებს მზია ხელაშვილს, ლეილა და ქეთევან გაროზაშვილებს.

მეორე წელია შრომობენ გოგონები ფერმაში. ისინი წარმატებებს აღწევენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში. წელს მათ ვალდებულება იკისრეს ყოველ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად მიიღონ 2.200 კილოგრამი რძე.

სურათზე: სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მწველავები (მარცხნიდან) მზია ხელაშვილი, ლეილა და ქეთევან გაროზაშვილები.

ი. **დავითაშვილის** ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

მატჩები მსოფლიო კირველობაზე

ჰარტია გადატანილია

ბაგიო. მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ-ვ. კორჩნოის მატჩის 25-ე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, გადატანილია. ტიმ-აუტი აიღო მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა. 25-ე პარტია რეგლამენტის თანახმად უნდა გაიმართოს 23 სექტემბერს.

□

თამაშის განუახლებლად

ბიავენინა. ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს შორის მსოფლიო პირველობის მატჩის მეთერთმეტე პარტია გადადებული იყო ნონა გაფრინდაშვილისათვის მოხაგებ მდგომარეობაში, გუშინ მაია ჩიბურდანიძე თამაშის განუახლებლად დანებდა. ანგარიში გახდა 6:5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მეთორმეტე პარტია უნდა გაიმართოს 22 სექტემბერს.

მოკლედ

ფრანკფურტი. იტალიის ექვს ქალაქში სტარტი აიღო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატმა. სსრ კავშირის ხაკრები ქალაქ უდინეში ასპარეზობს. შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა ფრენბურთელებმა დაამარცხეს საფრანგეთის ნაკრები ანგარიშით 3:0 (15:6, 15:6, 15:2).

სოლა. ლვოვში მეგობრული არმიების ხორტსმენთა ასპარეზობისას საბჭოთა მხოლოელმა ვიტორ დანილჩენკომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა მეორეკილიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სოლაში (3x40). მისი სარეკორდო მაჩვენებელია 1171 ქულა.

ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი გაიმართა ქალაქ ხაღობიეში ხაბერძნეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:0.

მედლები, რეკორდები

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა

ტაშკენტი, 21 ოქტომბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა მეთოთხმეტე დღე საქართველოს წარგზავნილებისათვის თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნა. თავისუფალ ჭიდაობაში სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულებს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ ქართველი ფალავნები — მერაბ მერაბიშვილი (52 კგ) და ბორის ღვინჭილია (65 კგ).

ამ დღეს ვერცხლის სამი მედალი დაიმსახურეს მძლეოსნებმა ვალერი საბანაძემ (ბადროს ტყორცნა), ზურაბ ტალიკიშვილმა (ტროს ტყორცნა) და გოჩა ჩადუნელმა (სიგრძეზე ხტომა). აღსანიშნავია, რომ ჩადუნელის შედეგი 7 მეტრი და 24 სანტიმეტრი საქართველოს ჯაბუკთა ახალი რეკორდია.

„პიტტაკორის“ სტადიონის მძლეოსნურ სარბიელზე გაუმჯობესდა კიდევ ერთი რესპუბლიკური რეკორდი. იგი დაამყარა მაია აზარაშვილმა, რომელმაც 200 მეტრი 25 წამში გაირბინა. და მაინც, ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ათეიდში ყვარელი ჯაბუკის ელგუჯა ჭორთიავის გამარჯვება. მან არათუ ოქროს მედალი მოიპოვა, არამედ 7858 ქულით ჯაბუკთა შორის საკავშირო მიღწევის ავტორი გახდა. ელგუჯამ ძველი მიღწევა 130 ქულით გაუმჯობესა. ქორთიავი სწავლობს რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში და სპარტაკიადისათვის იგი მწვრთნელმა ლ. გუგეშაშვილმა მოამზადა.

ჩვენმა წყალბურთელებმა მეორე ტურის მატჩი აზერბაიჯანელ თანატოლებთან მოიგეს ანგარიშით 5:4 და ძვეკგუფში ლიდერობენ.

მეოთხე ტურში პირველ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ჭაბუკმა ხელბურთელებმაც, რომლებმაც სალიეს აირგიზეთის ნაკრებს — 36:29, გოგონები კი დამარცხდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის გუნდთან — 17:25.

კარგად დაიწყეს შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა. პირველი დღის შედეგებით ისინი თავიანთ ძვეკგუფში ლიდერობენ.

საქართველოს ნორჩმა ფეხბურთელებმა მოიგეს შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრეს რუსეთის სფს რესპუბლიკის ნაკრებთან.

აზიბაეთის გუნდთან მეოთხე ტურის შეხვედრას ჩვენი მოკადრაკეები იგებენ ანგარიშით 3,2:2,5. ორი პარტია გადადებულია.

სპარტაკიადა გრძელდება—წინ დიდი ბრძოლებია. საქართველოს მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის წევრების, კერძოდ, მძლეოსნებისა და ჭიდაოსნების წარმატებითა გამოსვლამ დანარჩენ სახეობათა გუნდების წარმომადგენლებიც უშეღავათო ბრძოლებისათვის უნდა განაწყოს. ურიგო სტარტი არა აქვთ ჩვენს ფეხბურთელებს, მხატვრული ტანვარჯიშის ნორჩ ოსტატებს, წყალბურთელებს... დაველოდოთ მოგლეთა მსვლელობას, ალბათ კიდევ იქნება მედლები, რეკორდები...

თ. გაჩეჩილაძე.

ხელგურთი

სუსტად ითამაშეს

ზაპოროჟიეში და თბილისში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ტურნირები.

ზაპოროჟიეში I-VI ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების ასპარეზობის მეორე დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ესკა-„კუნცევო“ — 28:23 (11:14), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-ზაპოროჟიეს თდუსტრიული ინსტიტუტი — 25:17 (10:10).

თბილისში VII-XII ადგილებისათვის გამართული ტურნირის მეორე დღეს ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ შეხვდა ბინსკის არმიელთა კოლექტივს. მასპინძლებმა ხუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ ანგარიშით 17:21 (6:10). დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: ასკ (კიევი)-ასკ (ლვოვი) — 21:23, ასკ (ბაქო)-„ცელტნიეკსი“ (რიგა) — 16:34.

ვეტერანთა ტურნირი

ავთანდილ ღოღობერიძის პრიზზე

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო მოსკოვის, კიევის, ერევნისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი საბჭოთა ფეხბურთის სახელგათქმული წარმომადგენლის ავთანდილ ღოღობერიძის პრიზზე. თაედაპირველად მინდორზე გამოვიდნენ კიევისა და მოსკოვის გუნდები. გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 2:1 (1:1).

თბილისელები შეხვდნენ ერევნელებს. მასპინძლებმა პირველი ტაიმი წააგეს (1:2), მაგრამ შესვენების შემდეგ თამაშში გარდატეხის შეტანა შესძლეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 4:2. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს ყორდანიამ, ლ. ნოდიამ, დათუნაშვილმა და გავაშელმა, ერევნელთაგან — კაზარიანმა და პოოსიანმა. თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ს. კოტრიკაძე, სიჭინავა, ებრალიძე, ილიადი, ჭინჭალეიშვილი, ხუნდაძე, მჭედლიშვილი, გავაშელი, კალოევი (დათუნაშვილი), ყორდანია, ლ. ნოდია.

ფინელები არ ხუმროგენ

ჩვენ, უკვე ვიუწყებოდით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (VI ჯგუფი) ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე მოუგო საბერძნეთის ეროვნულ გუნდს (2:0).

ჰელსინკში გაიმართა ამ ჯგუფის გუნდების კიდევ ერთი შეხვედრა. მასპინძელთა ხაკრების წევრებმა, რომლებიც ადრე ტრადიციულად სუსტ მეტოქეებად ითვლებოდნენ, სძლიეს უნგრელებს ანგარიშით 2:1 (1:0). ფინელთაგან გოლები გაიტანეს ატიკ ისმაილმა (30-ე წუთი) და სეპო პიუკამ (53-ე). უნგრელმა ლასლო ტიპორმა ერთი გოლი გაქვითა (74-ე).

ახლა მეექვსე ჯგუფში გუნდების საატურნირო მდგომარეობა ერთობ საინტერესოდ გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფინეთი	2	2	0	0	5-1	4
სსრ კავშირი	1	1	0	0	2-0	2
უნგრეთი	1	0	0	1	1-2	0
საბერძნეთი	2	0	0	2	0-5	0

გთავაზობთ ევროპის ჩემპიონატის სხვა მატჩების შედეგებს:

I ჯგუფი. დანია-ინგლისი — 3:4 (2:2), ირლანდია-ჩრდ. ირლანდია — 0:0.

II ჯგუფი. ავსტრია-შოტლანდია — 3:2 (1:0), ბელგია-ნორვეგია — 1:1 (0:1).

IV ჯგუფი: ჰოლანდია-ისლანდია — 3:0 (1:0).

ფეხბურთი

დერეკვალის პრობლემები

ექს-ჩემპიონთა მწვრთნელი ეძებს ვარსკვლავებს

„მინდა, რომ დარჩენილი ცხოვრების დღეები მშვიდად გავატარო. დავუბრუნდები თუ არა ფეხბურთს? — არასგზით. შეიძლება, და ისიც იშვითად, ახლოდან რომელიმე ძველ ხოლმე ახალგაზრდა მწვრთნელებს“. ეს სიტყვები ეკუთვნის ფეხბურთის ხაქვეყნოდ აღიარებულ სპეციალისტს, დასავლეთ გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ჰელმუტ შონს, რომელმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თავისი გახუყრელი კეი დაიხურა (სხვათა შორის, საფეხბურთო წრეებში შონს მეტსახელად „კეპპაინი კაცი“ ერქვა) და ოჯახურ სიმყუდროვეს დაუბრუნდა.

„თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ შონის ნახევარ წარმატებას მაინც გავიმეორებ“ — თქვა მისმა მემკვიდრემ, მსოფლიოს ექსჩემპიონების ახლადდამდგარმა მწვრთნელმა იუპ დერვალმა, როცა იგი ახალ პოსტზე დანიშნეს.

დასავლეთგერმანულ ფეხბურთში ერთი კარგი ტრადიცია არსებობს: ნაკრების უფროს მწვრთნელად შემოხვევითს გარეშე კაცს არასოდეს არ ნიშნავენ. ამ პოსტისათვის დაკვირვებით და ფრთხილად ამზადებენ კადრს. ერთხელ იქაურ ფედერაციაში ბუკენბაუერსაც კი უთხოეს გადაკრულად, რომ ნაადრევად ფიქრობდა ეროვნული გუნდის მწვრთნელის სავარძელზე.

ასეთ შონი სახელგანთქმული ზეპ ჰერბერგენის თანაშემწე და მოსწავლე გახლდათ, დეიგალის საფეხბურთო კონცეფციები, თაეის მხრივ, ეროვნულ გუნდში შონის ხელქვეითობის დროს ჩამოყალიბდა (მახსოვდეს იგი „ფორტუნაში“ თამაშობდა, შემდეგ კი შვეიცარიასა და სამშობლოში წვრთნიდა სხვადასხვა გუნდს). ალბათ, ამიტომაა, რომ დერვალი ასე მოწიწებით ეხსენიებს შონის დამსახურებას, მაგრამ გვახსოვს მის მიერ მასწავლებლის მისამართით გამოთქმული სხვა მოსაზრებაც. როცა ექს-ჩემპიონები ავსტრიელებთან დამარცხდნენ, მან თქვა: „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შონი ბუკენბაუერის საშუალებით აღწევდა წარმატებებს, და ამდენად „დიდი ფრანცის“ (ე. ი. ბეკენბაუერის) არგენტინაში არწყაკანა მის უხეშ შეცდომად უნდა ჩავთვალოთო“.

რას მივაწეროთ ახალი მწვრთნელის ეს სიტყვები? — უპირველეს ყოვლისა სიხანეს, ოთმ ახალჩაბარებულ გუნდში მას არც ერთი „გარახდი“ აღარ დახვდა. უფრო მეტიც — ყველა თამაში გამოცდილი ოსტატები, საფეხბურთო ხანდაზმულობის გამო, ჩვეული ძალით ვეღარ თამაშობენ. მაიერი, ფოგტსი, ფლოე, ჰაილენბახი და ბეერი ოცდაათ წელს არიან გადაცილებული. მათ ადგილებზე, თითქოს, ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის: ყოგეესი, დიტეი, ჰ. მიულერი, აბრეჰიეი და სხვანი, მაგრამ ბეკენბაუეროამდე, ოვერატამდე და ბეერ მიულეროამდე მათ კიდევ ბევრი აკლიათ.

თაობათა ცვლის ეს მტკივნეული და გარდაუვალი პრობლემაა, ისე რომ აწუხებს დღეს დერვალს. მას ხაკრებში დაიკვიდრებისათვის მრავალი გამოცდა და ბრძოლა მოელის. ევროპის მიძღვანარე ჩემპიონატში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ოღრი მეტოქეები ჰყავს ქვეჯგუფში (უელსი, თურქეთი, მალტა), მაგრამ შემდეგ? შემდეგ ხომ უფრო სერიოზული და სამშინ მეტოქეები იქნებიან. სწორედ ამიტომ შიშობს დერვალი, რომელიც ჯერჯერობით ამაოდ დაეძებს ბუნდესლიგაში ახალ ბეკენბაუერს. (საკდესის მასალების მიხედვით).

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ჩვენი ცხოვრები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საფრანგეთში ხანგრძლივ ვადიანი ფაქიზი ოფლისგან ეროვნული ოფლისგან ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა

აცხადებს მიღებას 1978-1979 სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს მეფუტკრე ტექნიკოსებს.

სკოლაში მიიღებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და გაერთიანებების მეფუტკრეობის დარგის მუშაკები, სამუალო და არასრული საშუალო განათლების სოფლის მეურნეობის მუშაობის გამოცდილების მქონე პროფტეხიკოები.

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და კომუნალური მომსახურეობით.

ზემდგომი ორგანიზაციის დადგენილების თანახმად, სკოლაში მივლინებულნი კოლმეურნეობებიდან დაერიცხებათ თვეში 20-25 შრომადღე (ერთი შრომადღის ღირებულება 1 მანეთი და 72 კაპიკი) და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში, ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გაერთიანდებიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას თვეში 45-50 მანეთს.

სკოლაში ჩარიცხვა მოხდება ყველა საჭირო საბუთების წარმოდგენისა და გასაუბრების შემდეგ.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება; ავტობიოგრაფია; განათლების მოწმობა (დედანი); დაბადების მოწმობა; კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან გაერთიანების შუამდგომლობა; ცნობა ჯანმთელობის შესახებ; სამი ფოტოსურათი; პასპორტი ან მისი შემცვლელი საბუთი და სამხედრო ბილეთი უნდა წარმოადგინონ პირადად.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე. კვირა-დღის გარდა.

სწავლა დაიწყება 10 ოქტომბერს.

სკოლის მისამართი: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. № 36.

ტელეფონი 2-27-02.

სასწავლო-საკურსო კომბინატის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და მოსახლეობისა საყურადღებოდ!

სავაჭრო ფირმა „კულტსამეურნეო საქონელი“ წვრილბითუმად ულიმიტოდ ყიდის წარმოება-დაწესებულებებზე კონდიციონერ „ბკ-1500“-ს.

მოსახლეობას კონდიციონერი მიეყიდება ნისიად ერთი წლის განვადებით.

კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მისამართია — გულიას ქუჩა № 1 (ახალი ავტოსადგურის პირდაპირ).

ტელევიზია

22 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრეკია“ — ხალიფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.30 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთათვის „ჯადაბანილი“, 18.35 — კინონარკვევი, 19.00 — დოკუმენტური ფილმი, „მოთხრობა კომუნისტზე“, 20.10 — „ჩვენთან სტუმრად“ კონცერტი, 20.50 — „სოფლის სადღესასწაულო საზრუნავი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მატეო ფალკონი“, 22.40 — „პრემიერამდე დიდი ხნით ადრე“, 22.00 — „ვრეკია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 23.25 — „საღამოს მელოდიები“ (მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — „მასწავლებლის საათი“ — გეომეტრია, 18.45 — განცხადებები, 18.50 — ფიზიკა — IX კლასელთათვის.

თეატრი

22 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მედეა; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნოველები.

ქომუნისტი ჩვენი ფისავარეთი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-60, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-84 სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 02217

საქ. კ კ(ბ)-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14